ახალი ხარაგაული

367 (26) 11 დეკემბერი, 2017 წ

„კაცად მაშინ ხარ საქები“...

ქვეყანაში ნებისმიერი საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ, ამომრჩეველი დიდი ინტერესით მოელის, თუ რა შეიცვლება მის ყოფაში, რა სიკეთეს აზიარებს ის პიროვნება, ვისაც საკუთარი რწმენით გამოუცხადა ნდობა და განსაზღვრა, რომ სწორედ ის გაუმართლებს იმედს; იმედი და ნდობა კი გადამწყვეტი ფაქტორია ადამიანთა ურთიერთობაშიც და განსახორციელებელ საქმეებშიც.

როცა სარგვეშის თემის მოსახლეობამ ქალბატონი რუსუდან გიორგაძე აირჩია დეპუტატად, უპირველესად თვალწინ ედგათ ადამიანთა მიმართ ის სითბო- სიყვარული, რაც ამ ქალბატონის თანამდევია ყველგან და ყოველთვის, ასეთივეა მისი დამოკიდებულება იმ კუთხისა და სოფლის მიმართ, რომელთანაც ბავშვობისა და პიროვნებად ჩამოყალიბების საუკეთესო წლები აკავშირებს.

აღნიშნული სტატიის ავტორების შეხვედრა აწ უკვე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძესთან, სწორედ მის მიერ ხორცშესხმული საქმეების გაანალიზებით დაიწყო.

იზრუნო მოხუცებზე, იზრუნო მომავალ თაობაზე, აკეთო ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება ერსაც და ბერსაც- მოითხოვს თავდაუზოგავ შრომას, რომელსაც უეჭველად სიყვარული უნდა წინამძღვრობდეს...

ქალბატონ რუსუდანთან საუბრისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ როგორ მძლავრობს მის სულში ილიასეული შეგონება :

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო,-
აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“

ცრუ დაპირება მისთვის მიუღებელია. როცა საჭიროება მოითხოვს, „რკინის ქალამნებს“ იცვამს, რათა აღასრულოს მავანთათვის ჩაფიქრებული კეთილი მიზანი, ხვალინდელი დღის იმედით გაჯერებული.

ვინც ამ ქალბატონის საქმეებს ახლოს იცნობს, ყველამ იცის, რომ „მისი სიტყვა საქმიანია და საქმე სიტყვიანი“.

***

იმერეთი რუსუდან გიორგაძის წინაპრების სამკვიდრო იყო ოდითგან. დიდი ბაბუა, მიხეილ გიორგაძე, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის განათლული, თერჯოლიდან თბილისში დამკვიდრებულა. საგანმანათლებლო საქმეებში ჩართულს, გამორჩეული ავტორიტეტი მოუპოვებია, სწორედ ამით განისაზღვრა, იმ დროისათვის უჩვეულოდ, მიხეილ გიორგაძის ცხედრის მასწავლებელთა სახლიდან გამოსვენება.

ნამდვილად „სისხლის ყივილი“ იყო, რომ შთამომავალმაც თავისი წონიანი სიტყვა თქვა ამ სფეროში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამინდელი ილიას უნივერსიტეტი) მიღებული ცოდნით ჩაება იგი განათლების სისტემაში და მეტად საპატიო პოსტებზე მუშაობით თავისი წვლილი შეიტანა სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის სრულყოფასა და სწავლებაში სიახლეთა დანერგვის საქმეში. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ სწორედ რუსუდან გიორგაძის ძალისხმევით დაფუძნდა დედაქალაქში გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლა. იმდენად ძლიერი იყო სკოლის ხელმძღვანელისა და

პედაგოგთა მისწრაფება აღსაზრდელებში ეროვნული სულის გაძლიერებისა იმ უმძიმეს 90-იან წლებში, რომ საკმარისია ამ სკოლის ერთ-ერთი აღზრდილის სიტყვები დავიმოწმო: „ხშირად გვეჩვენებოდა, რომ თვით „კაცი ზეცისა და ქუეყანისა ანგელოზი“ -გრიგოლ ხანძთელი მოგვიწოდებდა ეროვნული თანხმობისაკენ, მისგანვე ჩაგვესმოდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“

ქალბატონი რუსუდანის თქმით, ეს იდეა აქტუალურია დღესაც, რადგან ჩვენი სწრაფვაა, აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

სარგვეში - უტკბესი დედულეთი

„ვისაც არ უყვარს მშობელი დედა, ის მის მაგიერ ვის შეიყვარებს?“- ბრძანებდა აკაკი. მშობელი დედასავით საყვარელია ქალბატონი რუსუდანისათვის დედულეთის, სოფელ სარგვეშის, ეზო-კარი. ნიკოლაიშვილთა მემკვიდრეს ღვთიური სიყვარულით იზიდავს ეს ზღაპრული მიწა-წყალი. შრომისმოყვარეობითა და მაღალი გემოვნებით ხელოვნების ნამდვილ სამყაროდაა ქცეული ეზოს ყოველი კუნჭული. ვის შეუძლია, გულგრილად დაათვალიეროს ქართული ხალხური მუსიკალური საკრავებისა და დღეს უკვე იშვიათობად ქცეული ძველი საყოფაცხოვრებო ნივთების მდიდარი კოლექცია...

უფლის ძალა მწინამძღვრობდა

მქონდა ბედნიერება- გვიამბობს ქალბატონი რუსუდანი-ისრაელში, წმინდა მიწაზე, მომელოცა ქართველთა დიდი წარსულის მოწმე ჯვრის მონასტერი და სხვა სიწმინდეები. ვათვალიერებდი და თვალწინ მედგა სავალალო მდგომარეობაში მყოფი სარგვეშელთა სულის სავანე-ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია. დაბრუნებისთანავე შევუდექი ტაძრის რესტავრაციაზე ზრუნვას. იმ დროს ამისთვის საჭირო არც ფინანსები გამაჩნდა და არც სხვა რამ საიმედო წყარო. დიდი სულხან-საბას სიტყვები მახსენდებოდა: „ლოდი მაშინ მძიმეა, რა ადგილას იდვას, და რა ადგილით დაიძვრის, გასუბუქდესო.“ დიახ, მწამს, რომ უფალი მწინამძღვრობდა და ყველაფერი შემაძლებინა. თანდათან გამიჩნდა ფინანსები, დიდი იყო მოსახლეობის შრომითი ენთუზიაზმი, სახურავის შეძენაში ბიძაშვილები დამეხმარნენ... ღვთისმოსავი თანასოფლელები რომ სასოებით შეაბიჯებენ ტაძარში და იქიდან შვებამინიჭებული ბრუნდებიან, ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა იყოს? - დასძინა ქალბატონმა.

***

რუსუდან გიორგაძის მიერ სარგვეშელ ხანდაზმულებზე ზრუნვა არახალია, ძველია. მაგრამ, როცა მისი სამსახურებრივი სტატუსი ხარაგაულმა განსაზღვრა, მის პიროვნებაში უფრო ფართო ასპექტით გამოიკვეთა მოხუცებზე ზრუნვის პერიპეტიები. ჯერ „მოხუცთა სახლის“ დაფუძნება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო იდეა შეიცვალა და „მოწყალების და“ უწოდა. სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით დატვირთული ორი ქალბატონი, დროის გარკვეული ინტერვალით, მიდის მოხუცთან, ალამაზებს, ამშვენიერებს და სიცოცხლის ხალისს უძლიერებს მას. 70-90 წლამდე ასაკის 80 მოხუცია აღრიცხული სარგვეშში. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ცდილობს, როგორმე დაფინანსება მოიპოვოს, რათა ამ პროექტმა მთლიანად მოიცვას ხარაგაულის მუნიციპალიტეტი.

მოხუცებზე როცა ზრუნავ, ეს გარკვეული მიმართულებით მომავალ თაობაზე ზრუნვაცაა, რადგან, როცა მოზარდი საკუთარი თვალით ხედავს ხანდაზმული ადამიანებისადმი ესოდენ დიდ ყურადღებას, მის სულშიც იკვეთება პატივისცემის, გაფრთხილების, თანადგომის კეთილშობილური გრძნობები. თუ დაინტერესდებით და სარგვეშელ ხანდაზმულებს გაესაუბრებით, ისინი უსაზღვრო მადლიერებით გიამბობენ, რომ მათზე მზრუნველი ქალბატონის სულში ნამდვილად ღვთიური ძალა ბინადრობს.

***

ერთ საგაზეთო სტატიაში ძნელია, არასრული ჩამონათვალიც კი გააკეთო იმ სამომავლო საქმეებისა, რომლებიც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამოქმედო პროგრამაშია. ეს ეხება კულტურას, განათლებას, სპორტს, ხალხური შემოქმედების სახლს, ისტორიულ მუზეუმს, ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს და ა.შ.

ქვეყნის ხვალინდელი დღის - ახალგაზრდების - მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ქალბატონ რუსუდანს: სარგვეშში აპირებს საზაფხულო ცენტრის დაფუძნებას 10-15 წლის ასაკის მოზარდთათვის. სხვადასხვა სოფლიდან ბავშვებს მოემსახურება ავტობუსები, ისარგებლებენ ერთჯერადი კვებით. პროგრამაში გათვალისწინებული იქნება ზოგადი განათლების დონის ამაღლება, ქცევის წესებისა და მეტყველების კულტურის გამომუშავება. ახლობლის მეშვეობით (მული) აქვს შემოთავაზება ამერიკიდან, რომ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ორი გოგონა გაიგზავნოს ამერიკაში მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. თუ მათი მგზავრობის ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება, სხვა ყველა ხარჯს ახლობელი გაიღებს.მალე ამერიკიდან მივიღებთ სათამაშოების დიდ ნაკრებს მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღისათვის. სარგვეშის სკოლასთან დამეგობრებულმა ამერიკის ერთ -ერთმა სასწავლო დაწესებულებამ უკვე გამოუგზავნა სარგვეშელ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საზაფხულო ტანსაცმელი, სასკოლო ნივთები. უახლოეს მომავალში ელოდებიან ზამთრის ტანსაცმელს და არის მცდელობა, დაფინანსდეს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთჯერადი კვება(სადილი). წელიწადში ერთხელ სარგვეშის საჯარო სკოლის ერთი საუკეთესო მოსწავლე გაიგზავნება ამერიკაში ორკვირიან პრაქტიკაზე. თუ ინგლისური ენის მცოდნე პედაგოგიც გაჰყვება, ეს უკანასკნელი დასაქმდება სკოლაში დღეში 50-დოლარიანი ანაზღაურებით.

ოჯახი-ქვეყნის ძლიერების საძირკველი

დიდ საქმეებთან შებმა მაშინაა გაიოლებული, მით უმეტეს დიდი ოჯახის თავქალისათვის, როცა ოჯახის წევრები მის ტვირთს ინაწილებენ და ყოველმხრივ ეხმარებიან. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ რუსუდან გიორგაძისა და ბესარიონ ჭიჭინაძის ოჯახი ამის თვალსაჩინო მაგალითია. მეუღლე, ცნობილი მშენებელი ბესარიონ ჭიჭინაძე, პროფესიონალიზმთან ერთად რაჭველი მამაკაცისათვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისებითაა დაჯილდოებული. ქალბატონი რუსუდანი ორი წარმატებული ვაჟკაცის დედაა: დავითი პოლიციის პოლკოვნიკია, ჰყავს მეუღლე და სამ ვაჟკაცს უზრდის საქართველოს. ერეკლე თბილისის მერიაში ზედამხედველობის სამსახურშია, მშობლები მოუთმენლად მოელიან მის დაოჯახებას, გამრავლებას, ოჯახის ჭერის ამაღლებას...

ქალბატონო რუსუდან!

გვინდა, ერთად გავიხსენოთ ცნობილი სიტყვები: „ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის არის სიცოცხლე. იგი ეძლევა მას ერთხელ და საჭიროა იცხოვრო ისე, რომ არ იგრძნო ტკივილი უმიზნოდ გატარებული წლების გამო.“ თქვენი სისხლსავსე ცხოვრებითა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაცნობით ყველა დარწმუნდება, რომ თქვენ ამგვარი ტკივილი ნამდვილად არ შეგაწუხებთ.

დაე, უფლის მადლმა ყველა კეთილი ჩანაფიქრი აგასრულებინოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა საკეთილდღეოდ.

ეკა შავიძე
მერი გიორგიძე

ნიკოლოზ თოფურიძე იმერეთის რეგიონის ტურისტული ბრენდინგის სტრატეგიის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებს გაეცნო

ბერიკა თურმანიძე.

მხარეებმა იმერეთის ტურისტულ პოტენციალზე, ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო რესურსებსა და არსებულის განვითარების საკითხებზე ისაუბრეს.

იმერეთის მხარის ადმინისტრაციაში მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა იმერეთის რეგიონის ტურისტული ბრენდინგის სტრატეგიის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები წარადგინეს.

შეხვედრაზე რეგიონისთვის ტურისტულად მიმზიდველი სლოგანის შერჩევაზეც იმუშავეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ თოფურიძე** და ტურიზმის ცენტრის დირექტორი

პროექტის მიზანს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე იმერეთის რეგიონის ცნობადობის ამაღლება და უფრო მეტი ტურისტის მოზიდვა წარმოადგენს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს საჩუქრები გადასცა

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ პირებს საჩუქრები გადასცა. ქალბატონი მანანა მათ სახლში ესტუმრა და კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღუთქვა. შეხვედრაზე საკრებულოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ადამიანები საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან და შეზღუდული შესაძლებლობების ცნება პირობითია. მისივე თქმით, ადგილობრივი თვითმართველობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მოხდეს ამ პირების საზოგადოებაში უფრო ინტეგრირება.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით, 1992 წელს დაწესდა და იგი გსმ ადამიანების უფლებების, თანასწორობის, ღირსების პატივსაცემად 3 დეკემბერს აღინიშნება.

აღსანიშნავია, რომ გსმ პირთა ცხოვრების შემსუბუქების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება პერიოდულად ახალ პროგრამებს ნერგავს. მათ შორის არის საქართველოს სკოლებში ინკლუზიური განათლების სისტემა, ადაპტირებული ვებგვერდები და სპეციალური სერვისები.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ექვსი სოფლის გაზიფიცირება წლის ბოლომდე დასრულდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. „სოკარ ჯორჯია“ გაზი მოსახლეობის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას კვლავ განაგრძობს. ზესტაფონი-ხარაგაულის სერვისცენტრის მენეჯერმა, ლევან აბაშიძემ, ხარაგაულის სერვისცენტრის თანამშრომლებთან ერთად, სოფელ თეთრაწყაროში, ლურსმანაშვილების, თავზარაშვილებისა და ბანცაძეების უბანში დამატებით ბუნებრივი აირი 40 აბონენტს ჩაურთო.

აღნიშნულ სოფელში გაზიფიცირება 2017 წელს მოხდა და საერთო ჯამში ქსელში ჩართვის შესაძლებლობა 200- მდე აბონენტს მიეცემა.

ლევან აბაშიძის განმარტებით, წლის ბოლომდე ბაზალეთში, ახალსოფელში, ისლარში, ჯაფაროულსა და ჩხერში ბუნებრივი აირი ყველა ოჯახს მიეწოდება.

აღიარება და კვლავ აღიარება

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის საინტერესო შემოქმედებითი დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია და შესაბამისია ის აღიარებაც, რაც მან და მისმა წინამძღოლმა უკვე მოიპოვა საზოგადოებაში.

რამდენიმე დღის წინ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრემიებისა და წოდებების მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებით ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელ იზა ვეფხვაძეს მიენიჭა ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო ნოდება. ამ საპატიო ჯილდოს მფლობელი საქართველოში სულ რამდენიმე ადამიანია, მათ შორის, „ფორტეპიანოს პრინცესა“ ელისო ბოლქვაძე, „ჭადრაკის დედოფალი“ ნონა გაფრინდაშვილი.

P.S საგაზეთო მასალების მომზადების პროცესში ცნობილი გახდა, რომ ქალბატონი იზა ვეფხვაძე დაჯილდოვდა სიგელით „საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფი ღონისძიებების ორგანიზებისათვის“. სიგელი მას უშუალოდ გადასცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ.

ხარაგაულის „ა(ა) იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი “ უერთდება ამ საამაყო და იშვიათი ჯილდოების მიღებით გამოწვეულ თეატრის ყველა მეგობრისა და კეთილმოსურნის დიდ სიხარულს და კვლავაც წარმატებებს უსურვებს საყოველთაოდ აღიარებულ თეატრსა და მის წინამძღოლს!

მერი გიორგიძე

აქციაა - ,,ჩემი შესაწირი ტაძრის მშენებლობას“ - გრძელდება

ნოემბრის თვეში ტაძრის მშენებლობის შესაწირი შემოიტანეს:

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ -თანამშრომლები- 48 ლარი;

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომლები- 90 ლარი;

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები-15 ლარი;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები- 17 ლარი;

პავლე ალავიძე-იგორეთი-სახელობითი ჩუქურთმის- 20 ლარი;

ია ტაბატაძე -დაბა-სახელობითი ჩუქურთმის -20 ლარი;

თორნიკე ავალიშვილი-დაბა-სახელობითი ჩუქურთმის-270 ლარი;

საიდუმლო შემოწირულობა -თბილისიდან სამშენებლო მასალებით-2300 ლარი;

საიდუმლო შემოწირულობა-თბილისიდან სამშენებლო მასალებით-800 ლარი;

საიდუმლო შემოწირულობა -დაბა-სახელობითი ჩუქურთმის - 10-ლარი;

მამუკა ლურსმანაშვილი -ჩხერიტრაგიკულად გარდაცვლილი ძმისშვილის ლიზი ლურსმანაშვილისა და რძლის დისშვილის მარიამ ასათიანის სახელზე - 500ლარი; მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მშენებარე ტაძრის მთავარი შესასვლელის თავზე დიდი მოჩუქურთმებული სარკმელი იქნება მათ სახელზე.

მზია ლურსმანაშვილი - ჩხერი- 10 ლარი;

თიკო ჩხეიძე - დაბა- სახელობითი ჩუქურთმის - 10 ლარი;

გულო ტალახაძე - ნუნისი- ძმისშვილების ლევან, ლაშა გიორგის სახელზე სახელობითი ჩუქურთმის-30 ლარი;

თბილისში განთავსებული შემოწირულობათა ყუთებიდან-970 ლარი;

ტაძრის მშენებლობაზე სისტემატურად მუშაობდნენ ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ თანამშრომლები, მისი ხელმძღვანელის, დავით ლაცაბიძის, მეთაურობით.

ტაძრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ის ხარაგაულის ყველა კუთხიდან გამოკვეთილად ჩანს. ორ მეტრზე უნდა ამაღლდეს გუმბათი და დაედგას ჯვარი და საბოლოოდ რა სახეს მიიღებს, ნებისმიერი ადამიანისათვის ადვილი წარმოსადგენია. გუმბათის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 83665 ლარს შეადგენს. წინა წლის დანაზოგი 18 ათასი ლარი გვქონდა, 16 ათას ლარამდე ყუთებიდან და ერთლარიანი აქციიდან, რომელშიც მხოლოდ ოთხი ორგანიზაცია (კეთილმოწყობის სამსახური, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი) და ცალკეული ინდივიდები მონაწილეობენ. ოქტომბრის თვეში ეპარქიის განვითარების ფონდიდან 20 ათასი ლარი მივიღეთ. მიმდინარე წელს ჩვენმა ფულადმა შემოსავლებმა 54 ათასი ლარი შეადგინა. დღეისათვის შესრულებულია 65 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და შესყიდულია სამშენებლო მასალები.

ცხრაწლიანი მშენებლობის პროცესი დასასრულს უახლოვდება, რაც თითოეული შემომწირავისა და მშენებლობაზე მომუშავეთა დამსახურებაა. დღეისათვის 123 ათასზე მეტ ადამიანს ვითვლით, ვისაც ამ ტაძრის მშენებლობისათვის შესაწირი გაუღია და უმუშავია. ყველას აღრიცხვა ინახება და ვცდილობთ, წიგნში ყველა სახელით და გვარით დაფიქსირდეს.

ტაძრის მშენებლობის დასრულება არის ყველა ხარაგაულელისა და მისი დღევანდელი ხელისუფლების ღირსების საქმე, რამეთუ ჩვენს რაიონში ქრისტიანული ეკლესიის ოცსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად შენდება ტაძარი. ამაში კი მონაწილეობას იღებს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის და ქვეყნის წარმომადგენლობა.

ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ყველას, ვინც შესაწირი გაიღო და ვისაც უხარია ტაძრის აშენება. ღმერთი იყოს მათი მფარველი!

ტაძრის მშენებლობის ფონდის ხელმძღვანელი
ცეზარ გუგულაშვილი

ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ გამარჯვებული ლიზა ბარბაქაძე გახდა

2 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კინოთეატრში ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ ნახევარფინალური შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები, სკოლის დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლის“ ტიტულის მოსაპოვებლად 75 მოსწავლე იბრძოდა, რომლებიც, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საჯარო სკოლებში ჩატარებული ტესტირების შედეგად შეირჩნენ.

ღონისძიების დაწყებამდე წუთიერი დუმილით დამსწრე საზოგადოებამ პატივი მიაგო ბათუმში ტრაგიკულად დაღუპულებსა და 21 ნოემბერს თბილისში, თემქაზე, მომხდარი ავტოავარიის შედეგად გარდაცვლილ ხარაგაულელ ახალგაზრდებს.

ამავე დღეს „ეტალონის“ ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა 2016-2017 სასწავლო წლის ხარაგაულის „ეტალონ მოსწავლეს“, ნინო მაღრაძეს, გამარჯვება კიდევ ერთხელ მიულოცა და სკოლის ღირსეული წარმოჩენისთვის ოქროს ფონდის წევრობის დამადასტურებელი სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

ამასთან, მარელისის საჯარო სკოლას „ეტალონის“ ეგიდით, ლიტვის საელჩოსგან სპეციალური ალმანახი გადაეცა ლიტვის ელჩის, გიედრიუს პუოჯუნასის ხელმოწერით.

ნახევარფინალური ტური ხარაგაულში პროექტის ავტორს, გოჩა ტყეშელაშვილს, მიჰყავდა. დაძაბული და საინტერესო თამაშის შემდეგ ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლის“ სტატუსი მე-2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ, ლიზა ბარბაქაძემ, მოიპოვა.

მე-2 ადგილზე ვახანის საჯარო სკოლის მოსწავლე ნინო მაღრაძე გავიდა, მესამე ადგილი კი მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ კოჩაძემ დაიკავა. რაც შეეხება პირველ ათეულს, ადგილები ასე გადანაწილდა:

მეოთხე ადგილი- ნონა მაჭავარიანი (მეორე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე);

მეხუთე ადგილი-მარიამ რიკაძე (ბორითის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე);

მეექვსე ადგილი – მარიამ ბერიშვილი (ვარძიის საჯარო სკოლის მე-11კლასის მოსწავლე);

მეშვიდე ადგილი – ანა ყურაშვილი (მოლითის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე);

მერვე ადგილი – გია ჩადუნელი (ხუნევის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე);

მეცხრე ადგილი – ვლადიმერ ლომიძე (ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე).

კონკურსის ყველა მონაწილეს სიგელები გადაეცა, ხოლო პირველ სამ ადგილზე გასული მოსწავლე, ხარაგაულის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინფორმაციით, ტრადიციისამებრ, მუნიციპალიტეტისგან საჩუქრად პორტატულ კომპიუტერს მიიღებს.

-„ეტალონი“ ნამდვილად ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების დაინტერესებას სწავლა- განათლების მიმართ. მისასალმებელია, რომ ხარაგაულელი მოსწავლეები ენთუზიაზმით არიან განწყობილი ამ მეტად საყურადღებო პროექტის მიმართ“.-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, მიიჩნევს, რომ გოჩა ტყეშელაშვილი არის ის ადამიანი, რომელიც განათლების პოპულარიზაციას ეწევა და ხელს უწყობს ახალგაზრდებს ცოდნის გაღრმავებაში. პარლამენტარი ფიქრობს, რომ „ეტალონი“ ტელევიზიაში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს.

საკუთარი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა თავად ლიზა ბარბაქაძემ.

„ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დაუვიწყარი დღეა. სიტყვებით შეუძლებელია გადმოვცე ის, რასაც ვგრძნობ. ვფიქრობ, ეს ტიტული ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს და ყოველთვის ვეცდები, ჩვენი რაიონი წარმოვაჩინო. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს პედაგოგებს, დირექტორს და უსაყვარლეს დამრიგებელს, თამარ მაღრაძეს, რომელთა დიდი შრომის შედეგია ჩემი გამარჯვება. ასევე დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდით მედგა და მგულშემატკივრობდა. წარმატებებს ვუსურვებ ყველას. ვფიქრობ, შრომა ყოველთვის გამოიღებს შედეგს.“

ლიზა ბარბაქაძე საქართველოს მასშტაბით გამოვლენილ გამარჯვებულ მონაწილეებთან ერთად ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას, სადაც პირველ სამ ადგილზე გასული ფულად ჯილდოს მიიღებს. თუ რომელ ქალაქში ჩატარდება „ეტალონის“ ფინალი, ჯერჯერობით უცნობია.

ეკა შავიძე

საკრებულოს სხდომას მერის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, დაესწრო

4 დეკემბერს გამართულ საკრებულოს სხდომას მერის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, დაესწრო და დეპუტატების კითხვებს უპასუხა. უმრავლესობის მხრიდან ძირითადი აქცენტი ძირულა-მოლითი-ჩუმათელეთის გზის 50 კმ.-იანი მონაკვეთის დაბის ტერიტორიაზე გავლას შეეხო. საკრებულოს წევრების მოთხოვნაა, გზის 1 500-მეტრიანმა მონაკვეთმა დაბაში არ გაიაროს და შემოვლითი გზა გაკეთდეს.

დეპუტატი თემურ ფცქიალაძე ამბობს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას გზის მონაკვეთის დაბაზე გავლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივეს მსხვერპლი მოჰყვება. მისივე განცხადებით, შესაძლებელია, ალტერნატიულ გზად ბაზალეთის მონაკვეთის გამოყენება.

აღნიშნული მაგისტრალის დაბის ტერიტორიაზე გავლის საფრთხეზე საუბრობს მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი და საკრებულოს დეპუტატი მარინე ხვედელიძე. მისი თქმით, პროექტი ხარაგაულისათვის ნამდვილად აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ ყოველივე უნდა გახდეს სასიკეთო და არა ზიანის მომტანი. იგი ვარაუდობს, რომ ინტენსიური მოძრაობის გამო პრობლემები შეექმნებათ სკოლის მოსწავლეებს.

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე ამბობს, რომ მაგისტრალის ცენტრალურ ქუჩაზე გავლა, მაშინ, როდესაც ამ გზაზე ორი საჯარო სკოლა მდებარეობს, მიზანშეწონილი არაა.

ფრაქცია „ქართული-ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე პაატა გოგოლაძე დარწმუნებულია, რომ შემოვლითი გზა აუცილებლად გაკეთდება და ყველაფერი მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყდება.

არჩილ მაღრაძის განმარტებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას არაერთხელ ჰქონდა ამ საკითხზე საუბარი საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, თუმცა, პროექტის შეცვლასთან დაკავშირებით, უარი მიიღეს.

„ჩვენი სურვილი იყო, შემოვლითი გზა გვირაბებისა და ესტაკადების მოწყობით გაკეთებულიყო, თუმცა ჩვენს წინადადებაზე უარი მივიღეთ. განგვიმარტეს, რომ ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე დაიგება ასფალტის ახალი საფარი და მაქსიმალურად იქნება დაცული უსაფრთხოების ზომები. მერიამ ასევე რამდენჯერმე დასვა საკითხი საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, რომ დაბის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობები ამორტიზებულია და ისინი ავტომანქანების ინტენსიურ მოძრაობას ვერ გაუძლებენ. როგორც გვაცნობეს, მშენებლობის დაწყებამდე ჩამოვლენ სპეციალისტები და შეაფასებენ არსებულ მდგომარეობას. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ აღნიშნულ 50 კმ-იან მონაკვეთზე აკრძალული იქნება ტრანზიტული მოძრაობა და გზაზე მხოლოდ მსუბუქი ავტომობილები გადაადგილდებიან.“ - განაცხადა არჩილ მაღრაძემ.

დაბაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოებით დაინტერესდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი თორნიკე ავალიშვილი. მისი თქმით, 9 აპრილის მეორე ჩიხი სავალალო მდგომარეობაშია და სამუშაოები ხარისხიანად არ კეთდება.

არჩილ მაღრაძის თქმით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, სამუშაოებს გარკვეულ ვადებში ხარისხიანად შეასრულებს და 9 აპრილის ქუჩაზე არსებული მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება.

ზვარის დეპუტატი ლადო ტალახაძე ჩრდილის გზის რეაბილიტაციით დაინტერესდა. არჩილ მაღრაძის თქმით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოვლენილია და ჩრდილის გზის რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში დაიწყება.

თამარ მაღრაძე

საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ცვლილებებია

4 დეკემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს. საკითხი მათ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, ჯაბა ბერაძემ, გააცნო. მომხსენებლის ინფორმაციით, საპრივატიზაციო ნუსხას სამი ობიექტი დაემატა. კერძოდ, სოფელ მარელისში 60 კვ.მ-სა და 33 კვ.მ-ზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი და ლაშეში ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა-ნაგებობა. ბერაძის ინფორმაციით, აღნიშნული მიწის ნაკვეთით დაინტერესებულია ორი ახალგაზრდა, რომლებიც ამ ტერიტორიაზე კომერციული ფართის განთავსებას გეგმავენ. რაც შეეხება ყოფილ კლუბ-კანტორის შენობას, სასწრაფოდ საჭიროებს დემონტაჟს, რადგან იგი ავარიულ მდგომარეობაშია.

მარელისში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შენიშვნა გამოთქვა რამდენიმე დეპუტატმა. მათი განცხადებით, მიწის ნაკვეთი სოფელმა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი დანიშნულებისათვის გამოიყენოს, მაგალითად, საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის.

ჯაბა ბერაძის განმარტებით, ამ ეტაპზე მარელისში საბავშვო ბაღის აშენება არ იგეგმება. თუმცა, როგორც ლეღვნის მაჟორიტარი დეპუტატი ნიკოლოზ მაღრაძე აცხადებს, აღნიშნული საპრივატიზაციო ობიექტის მიღმა არსებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღის აშენება.

ამავე საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა უაზ 31514 სახ.#LEO 634 ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობისათვის“ გადაცემის საკითხი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, აცხადებს, რომ უაზის ტიპის ავტომანქანა მუნიციპალიტეტში ჩაბნელებულ ქუჩებს ვერ გაანათებს და სპეცმანქანის აუცილებლობაზე საუბრობს. იგი ინტერესდება, მოხდება თუ არა ახლის შეძენა, ან რა ბედი ეწევა ამორტიზირებულ მანქანას.

ჯაბა ბერაძე ვარაუდობს, რომ შესაძლებელია, მოხდეს ძველის გარემონტება, თუმცა როგორც ბიუჯეტის საჯარო განხილვაზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, მიმდინარე წელს იგეგმება ახალი სპეცმანქანის შეძენა.

„ხარაგაულკეთილმოწყობისათვის“ უაზის ტიპის ავტომობილის გადაცემა გააპროტესტა ფარცხნალის მაჟორიტარმა დეპუტატმა მიხეილ ჭიპაშვილმა. მისი თქმით, აღნიშნული სამსახური დაკისრებულ ვალდებულებებს არ ასრულებს და ავტომობილის საჭიროებას გამორიცხავს.

განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ პაატა გოგოლაძემ. მისივე ინფორმაციით, სამსახურს არაერთი ვალდებულების შესრულება უწევს და თუ ავტომობილის გარეშე დარჩება, ფაქტობრივად პარალიზდება.

მიუხედავად რიგი დეპუტატების მიერ საკითხების მიმართ გამოთქმული პროტესტისა, საკრებულომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.

თამარ მაღრაძე

ხიდრის საჯარო სკოლას დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდრის საჯარო სკოლას დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. იუბილეს აღსანიშნავად სკოლაში საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თემურ ჩხეიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და ღვაწლმოსილი პედაგოგები ესწრებოდნენ.

მოწვეულ საზოგადოებას, პედაგოგებსა და მოსწავლეებს სკოლის იუბილე მიულოცა ამავე სკოლის დირექტორმა ეთერ პაპავამ და აქვე მიმოიხილა ამ უძველესი სასწავლო დაწესებულების განვითარების ისტორია. ისაუბრა ყველა იმ სიახლეზე, ინოვაციურ პროექტსა და წარმატებებზე, რომლებიც უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება.

ღონისძიებაზე ხიდრის საჯარო სკოლის აღსაზრდელებმა მხატვრული ოსტატობით წაიკითხეს ლექსები და წარმოადგინეს სანახაობრივად ლამაზი, ლიტერატურულ- მუსიკალური კომპოზიცია. საღამოზე შესრულდა რამდენიმე საცეკვაო ნომერიც.

სკოლის პედკოლექტივმა უდიდესი სითბოთი, მოკრძალებით, პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონა პედაგოგები: ციალა შარიქაძე, ჯენერი პაპავა, აკაკი გიორგაძე, სიმონ გაგოშიძე, ანდრო ბუაჩიძე, ვახტანგ ლეჟავა.

აღსანიშნავია, რომ ხიდარში საგანმანათლებლო დაწესებულებამ პირველად 1912 წელს დაიწყო ფუნქციონირება. 1963 – 1964 წ.წ. კი ხარაგაულის რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ლევან ბერაძისა და ხიდრის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გრიგოლ (ჯონდო) ბერაძის თაოსნობით სოფელში სკოლის ახალი შენობა აიგო.

ამჟამად ხიდრის სკოლაში 75 მოსწავლე სწავლობს. პედაგოგების რაოდენობა კი 22-ს შეადგენს. საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა პროექტში, ჰყავთ სერტიფიცირებული პედაგოგები. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ყოველწლიურად უმჯობესდება და ლამაზდება. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს უფასო ტრანსპორტიც ემსახურება. სკოლას ნამდვილად ბევრი რამ აქვს საამაყო - ისტორია, ტრადიციები და, რაც მთავარია, პედაგოგები, რომლებმაც არაერთი წარმატებული მოსწავლე აღზარდეს.

ეკა შავიძე

დიდი მამულიშვილის იუბილეს მიეძღვნა

ვინ აღნუსხავს, რამდენ საამაყო და სასიკეთო საქმეთა შემოქმედია ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი(ორგანიზაციის თავმჯდომარე პროფესორი გოგი დოლიძე).

ნამდვილად გვეამაყება, რომ ამ ცნობილი ორგანიზაციის რიგებში სხვადასხვა ასაკის ორმოცდაათამდე ხარაგაულელია, ხოლო უკვე სრულიად საქართველოში აღიარებული ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი ქალბატონი იზა ვეფხვაძე - გამორჩეულად საამაყო-საპატიო ჩოხოსნის წოდების მფლობელია.

დასის წევრობა (ხარაგაულის ფილიალის თავმჯდომარე ბესო სახვაძე) ძალიან ბევრს ავალებს თითოეულ მათგანს. უნდა ჩაინერგონ და გააძლიერონ ყველა ის საუკეთესო თვისება, რაც ჭეშმარიტი რაინდის თანამდევია. ხარაგაულელ პატარა „რაინდებს“ არასდროს დაავიწყდებათ დედაქალაქში, მთაწმინდაზე, ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავთან დადებული ფიცი და შემდეგ დიდი პატრიოტი ქართველის, პროფესორ გოგი დოლიძის მიერ მათთვის ჩოხოსნობის დამადასტურებელი საოცნებო დოკუმენტების გადაცემა. გვახარებს, რომ ბატონ გოგის ახლო ურთიერთობა აქვს ჩვენი რაიონის ინტელექტუალურ საზოგადოებასთან. მისგან არც ის იყო შემთხვევითი გადაწყვეტილება, რომ ჩოხოსანთა დასის მიერ განათლების სამინისტროსთან ერთად დაგეგმილი დიდი მამულიშვილის, რეზო თაბუკაშვილის, დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, ხარაგაულში გაიმართა.

17 ნოემბერს ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის (დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი) ინოვაციების ცენტრში შეიკრიბნენ: ხარაგაულის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჭიათურის, ქუთაისის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ხობისა და აბაშის საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომლებმაც წარმოადგინეს დამუშავებული თემები და საკუთარი მოსაზრებები. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა და საყურადღებო რჩევები მისცა მოსწავლეებს ჩოხოსანთა დასის თავმჯდომარემ, პროფესორმა გოგი დოლიძემ. სიხარული გაგვიძლიერა ჩვენი რაიონის მკვიდრის, მეცენატ ფრიდონ მაღრაძის სტუმრობამ. მან თავისი საკუთარი წიგნები უსახსოვრა კონკურსის მონაწილეებს. ჩვენმა საპატიო სტუმრებმა მასპინძლებთან ერთად პატივი მიაგეს რეზო თაბუკაშვილის ხსოვნას კინოთეატრის წინ მოქანდაკე გიორგი კიკვაძის მიერ დიდი მამულიშვილის ბრინჯაოში გაცოცხლებულ ბიუსტთან.

გაცნობებთ, რომ კონკურსის დასკვნითი ეტაპი- გამარჯვებულთა დაჯილდოება- გაიმართება 15 დეკემბერს, თბილისში, მოსწავლე -ახალგაზრდობის სასახლეში.

წარმატებებს ვუსურვებთ პატრიოტული გზებით მავალ, სახელოვან წინაპართა ღვაწლის დამფასებელ ყველა კონკურსანტს.

მერი გიორგიძე

მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ხარაგაულმა ვარშავის საერთაშორისო გამოფენაზე მიიღო მონაწილეობა

საქართველო მსოფლიოში ერთ- ერთი უნიკალური ტურისტული ქვეყანაა, რომელიც თავისი პოტენციალითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ვიზიტორებს განმეორებითი მონახულების სურვილს აღუძრავს. ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ამისთვის აუცილებელია ქვეყნის, როგორც ბრენდის, განვითარება და გატანა საერთაშორისო ბაზარზე. ამ მიზანს ემსახურება ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში გამართული ტურისტული გამოფენები, რომელშიც საქართველო მუდმივად იღებს მონაწილეობას. იმერეთის რეგიონიდან ხარაგაულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტურიზმის ცენტრის წარმომადგენლებმა ვარშავის 25-ე ტურისტულ გამოფენაზე „TT WARSAV“ წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა. გამოფენა 22-26 ნოემბერს პოლონეთში გაიმართა და მასში საშუალოდ 40-მდე ქვეყნის 1200-ზე მეტი ტურისტული კომპანია და ტურიზმის ბიზნესში მოქმედი ორგანიზაცია მონაწილეობდა. ერთი კვირის განმავლობაში 10 ათასამდე მნახველი სტუმრობდა აღნიშნულ გამოფენას. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ ხარაგაულიდან წარმოდგენილი კონიაკი, თაფლი, ჩურჩხელა, ჩირი, ასევე გაცნობოდნენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ისტორიული მუზეუმის საინფორმაციო

დისკებსა და ბუკლეტებს. *„ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობა, უამრავი ადამიანი გაცნობოდა ხარაგაულის პროდუქტს, მის ღირშესანიშნაობებს. მართალია, სრულად ვერ მოხერხდა ყველა მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილის ვიზუალურად ჩვენება, მაგრამ, რაც ნახეს, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. განსაკუთრებით მოეწონათ ჩვენი კონიაკი და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ასეთ გამოფენებზე თუ არ მივიღეთ მონაწილეობა, სხვაგვარად ტურისტს ვერ მივიზიდავთ. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი დამთვალიერებელი საქართველოს ჰყავდა და ეს სიხარულითა და სიამაყით მავსებდა“,* - აღნიშნავს ხარაგაულის ტურიზმის ცენტრის დირექტორი ბერიკა თურმანიძე.

ქართული კერძო ტურ-ოპერატორები, რომლებსაც საქართველოში უცხოელი ტურისტები შემოჰყავთ, უკვე დაინტერესდნენ ხარაგაულის ტურისტული პოტენციალით და ტურიზმის ცენტრის დირექტორს, სამომავლო თანამშრომლობას დაჰპირდნენ. ამ სასიამოვნო ფაქტს კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ის, რომ ბერიკა თურმანიძის ძალისხმევით, მუნიციპალიტეტს სერტიფიცირებული გიდები ჰყავს. *„მართალია, ტურისტებისათვის მაღალი დონის სერვისის შეთავაზება ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ ფასებიც იმ სერვისის შესაბამისია, რასაც ვთავაზობთ. დიდი დაინტერესება ჰქონდა სალაშქრო-საფეხმავლო ტურებს. ასევე მოეწონათ ის, რომ გვყავს სერტიფიცირებული გიდები, რადგან მათთვის აუცილებელია მეგზურობას პროფესიონალი უწევდეს.“* - ამბობს ბერიკა თურმანიძე.

ვიზიტის დასასრულს გაიმართა შეხვედრა პოლონეთში საქართველოს სრულუფლებიან ელჩ ილია დარჩიაშვილთან, რომელიც გაეცნო ხარაგაულის ტურიზმის ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებს: ბუნებაში ლაშქრობას, სათავგადასავლო ტურ-თამაშებს და დაჰპირდა ტურიზმის ცენტრის დირექტორს, რომ მომავალ წელს ხარაგაულში ჩამოიყვანს პოლონელი ახალგაზრდების ჯგუფს.

„ვფიქრობ, სამომავლოდ შესაძლებლობა გვექნება, უფრო ორგანიზებულად წარვდგეთ მსოფლიო ტურისტულ გამოფენაზე. მადლობა მინდა, გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას მხარდაჭერისათვის. ეს იყო წარმატებული ვიზიტი, რომელმაც დიდი გამოცდილება მომცა და დამანახვა მიმართულებები, როგორ უნდა ვიმუშაოთ უფრო ნაყოფიერად ტურიზმის განვითარების კუთხით,“ - განაცხადა ბერიკა თურმანიძემ.

როგორც მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ თოფურიძე, აცხადებს, ადგილობრივი თვითმმართველობა აქტიურად აპირებს მუშაობას ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რათა უფრო მიმზიდველი გახდეს ხარაგაული.

„პოლონეთის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია, რომელშიც ტურიზმის სექტორისა და ტურისტული ბიზნესის ათასამდე პროფესიონალი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას. ჩვენი მხარდაჭერით მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრმა გამოფენაზე წელს პირველად მიიღო მონაწილეობა, დავპირდით მოსახლეობას და აუცილებლად შევასრულებთ პირობას, რათა ხარაგაული გავხადოთ ტურისტულად მიმზიდველი. ამიტომ მაქსიმალური ხელშეწყობა ექნებათ ჩვენი მხრიდან იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ სფეროში ღირებულს ქმნიან და თავდაუზოგავად შრომობენ,“ - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ.

ლელა გუგულაშვილი

პროექტი „თეატრი სკოლებისათვის“ გრძელდება

ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებული ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი და თოჯინების თეატრი (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) ორი წელია, ახორციელებს პროექტს „თეატრი სკოლებისათვის“, რომლის ფარგლებში თეატრი აქტიურად მოგზაურობს ხარაგაულის სოფლებში და პატარებთან დიდი სიხარული და საინტერესო ამბები მიაქვს. აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ირინე ჩხეიძე მთელი თავისი შესაძლებლობებით ემსახურება ბავშვთა სულიერი აღზრდის უკეთილშობილეს საქმეს და ეხმარება მათ სავალი გზის გაკვლევაში. ხარაგაულის თოჯინების თეატრი 2008 წლიდან წარმატებით მოღვაწეობს და მისი წინსვლის საიდუმლო რეჟისორის ენთუზიაზმსა და საოცარი იდეებით სავსე ხედვებშია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის გუნდი, რომელთანაც რეჟისორი მუშაობს. „ვცდილობთ, მივიდეთ ისეთ სოფლებში, საიდანაც ვერ ახერხებენ ბავშვები სპექტაკლებზე ხარაგაულში ჩამოსვლას. არ შემიძლია, სიტყვებით გადმოვცე ის ემოცია, სიხარული და განცდები, რაც იქ გვხვდება. თუ რაიმე გამიკეთებია ცხოვრებაში, რაც ყველაზე მეტად მახარებს, თოჯინების თეატრია, ექვსი პრემიერა, 28 სპექტაკლი. მაბედნიერებს ბავშვების გაბრწყინებული თვალების დანახვა, მათი გულწრფელი ემოცია .“-ამბობს რეჟისორი ირინე ჩხეიძე.

პროექტის ფარგლებში სკოლებს საჩუქრად გადაეცათ დისკებზე ჩაწერილი დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „თანამდევი სული“.

„ვგეგმავთ, განვაგრძოთ სკოლებში ხარაგაულის თეატრის ისტორიაზე ლექცია-გაკვეთილების ჩატარება. ვფიქრობ, ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მომავალი თაობების მეტ ჩართულობას მათთვის საინტერესო და სასიკეთო საქმეში. სპექტაკლი არ არის მხოლოდ გართობა, თითოეული დადგმა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბავშვები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართული ხელოვნებაში, სპორტში, შემეცნებით აქტივობებში, რათა დრო არ ჰქონდეთ ქუჩაში დგომისა. ვფიქრობ, ახალგაზრდები ნაკლებად გახდებიან დამნაშავეები, თუ დროს მაქსიმალურად გამოიყენებენ თვითგანვითარებისათვის. ვისაც რა შეგვიძლია, ის უნდა გავაკეთოთ, რომ უკეთესი და ბედნიერი მომავალი თაობები აღვუზარდოთ ჩვენს ქვეყანას!“ - აღნიშნავს ქალბატონი ირინე.

წარმატებებს ვუსურვებთ ირინე ჩხეიძესა და მის შემოქმედებით გუნდს. მადლობა, რომ ზრუნავთ ჩვენი მომავალი თაობების უკეთეს ხვალინდელ დღეზე!

ლელა გუგულაშვილი

იმ დღეებს ძეგლი უკვე აუგეთ!..

ოთხი ათეული წელი მიითვალა დროის უკიდეგანო სივრცემ იმ ლამაზი დღეებიდან, როცა ვარდღიმილიანმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა სრულყვეს საშუალო განათლების კურსი და, სიმწიფის ატესტატებით ხელდამშვენებულებმა, ერთხელ კიდევ გაუკეთეს მობილიზაცია თავიანთ მიზნებს, უნარ-შესაძლებლობებს, ინტერესს და იქით გაეშურნენ, სადაც ყველაზე მეტად შეისხამდა ხორცს მათი სურვილები, საიდანაც უფრო მეტად შეძლებდნენ ერისა და ქვეყნის სამსახურს.

ეს იყო 1977 წელი და ის თბილი ბუდე, საიდანაც აფრინდნენ, ა/კ რკინიგზის ხარაგაულის N10 საშუალო (დღევანდელი მესამე საჯარო) სკოლა. კლასს ცნობილი პედაგოგი დოვრეთ ნიკოლეიშვილი ხელმძღვანელობდა. კლასის ოცდაცამეტივე მოსწავლე გამორჩეული იყო პირადი ღირსებით, ჰყავდათ ლიდერებიც, რომლებიც მისაბაძად ითვლებოდნენ არა მარტო თანაკლასელთათვის, არამედ სკოლის ყველა მოსწავლისათვის.

მონატრებულმა შეხვედრამ და ბავშვობის დღეებთან დაბრუნებამ სიხარულით აავსო მათი გულები, მაგრამ სიხარულს ერწყმოდა მწარე სევდაც, რადგან ოთხმა უსაყვარლესმა თანატოლმა - გიზო ვეფხვაძემ, მზია გველესიანმა, ქეთევან გლუნჩაძემ და ელგუჯა ციცქიშვილმა - ნაადრევად დატოვა მზიანი სამყარო... თანაკლასელთა და გარდაცვლილ პედაგოგთა ხსოვნას სათანადო პატივი მიაგეს შეკრებილებმა.

გაგვახარა კლასის „რძლებთან“ და „სიძეებთან“ შეხვედრამ. კურსდამთავრებულებმა დეტალურად წარმოგვიდგინეს სკოლისშემდგომი ორმოცწლიანი ცხოვრების „ანგარიშები“, ხოლო კლასის შთამომავალთა ე. ი. ჩვენი „შვილიშვილების“ წარმატებებმა მომავლის იმედი გაგვიძლიერა, რადგან „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.“

ბოლო არ უჩანდა მოსწავლეობის პერიოდის ტკბილ მოგონებებს. მოსაგონარი კი უამრავი ეპიზოდი იყო იმ ლაღი ცხოვრებიდან. უამრავ, უწყინარ ეპიზოდთაგან გვინდა, ერთი მაინც გიამბოთ: მოგეხსენებათ იმ პერიოდში რუსული ენის, როგორც მეორე მშობლიური ენის, შესწავლას დიდი ყურადღება ექცეოდა. სკოლებშიც გაძლიერებული იყო ადმინისტრაციის მიერ რუსულის გაკვეთილებზე დასწრება. ერთხელაც განსვენებული დირექტორი, ზაქარია შარიქაძე, ესწრება რუსული ენის პედაგოგ ლიანა (ცუცნა) გაჩეჩილაძეს. ქართული სიტყვის ჭაჭანებაც არაა, ლიანა მასწავლებელს მთელი საგაკვეთილო პროცესი რუსულად მიჰყავს. გამოიკითხა ლიტერატურული ნაწილი და შემდეგ გრამატიკაზე გადავიდა. კლასის უსაყვარლესი მოსწავლე, დავით გელაშვილი, ღია ფანჯარასთან ზის. ლიანა მასწავლებელმა სწორედ დათოს მიმართა:

„-Дато, просклоняй имя существительное „ окно!”

დათომ მაშინვე მიხურა ფანჯარა...

მასწავლებელმა კვლავ მიმართა დათოს:

-Дато, я тебе сказала, просклоняй „окно”!

- მეტზე აღარ იხურება, მასწავლებელო, და რა ვქნა მე?

აბა, მეტი რაღა უნდა ექნა იმ კარგ ბიჭუნას, თუ ის ცოდვიანი „склоняй” და „закрой” ერთმანეთში აერია?!

* * *

„იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ“ სავსებით ბუნებრივად თავისთვის ჩაილაპარაკა ოთარ ებანოიძემ გალაკტიონის სიტყვები...

ძვირფასო კურსდამთავრებულებო!

დეტალურად მოვისმინეთ რა სკოლის შემდეგ თქვენგან განვლილი ორმოცწლიანი ცხოვრების „ანგარიშები” სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ძეგლი თქვენ უკვე ააგეთ თქვენი საქმეებით, ხალხის, ქვეყნის უანგარო სამსახურით, ცხოვრების საუკეთესო თანამგზავრების შერჩევით, კარგი დედობით, მამობითა და მოქალაქეობით. გვახარებს, რომ ჩვენს საყვარელ მამულს, საქართველოს, უზრდით საიმედო, განათლებულ და ჯანსაღ შთამომავლებს.

კვლავ საინტერესო და წარმატებულ შეხვედრამდე!

მერი გიორგიძე
ვენერა კიკნაძე

მარელისში მდინარე ბჟოლიხევზე საცალფეხო ხიდ-ბოგირები რეაბილიტირდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისში მდინარე ბჟოლიხევზე საცალფეხო ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია იგეგმება. ამის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ პროექტის მენეჯერმა, მიხეილ პაკაცოშვილმა და სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდას) წარმომადგენელმა დავით თარიმანიშვილმა, მიაწოდეს. პროექტის ინიციატორები ადგილზე გაეცნენ საქმის ვითარებას და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სამუშაოები გაზაფხულიდან დაიწყება. აღსანიშნავია, რომ პროექტი, რომლის ფარგლებშიც რვა საცალფეხო ხიდ-ბოგირი რეაბილიტირდება, მსოფლიო ბანკისა და იაპონიის სოციალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. მისი სავარაუდო ღირებულება 38 357 ლარია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის მიღმა დარჩენილი ხუთი ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციას დაცული ტერიტორიების სააგენტო საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს.

შეხვედრაზე მაჟორიტარმა დეპუტატმა, ნიკოლოზ მაღრაძემ, აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ სამშენებლო სამუშაოებზე ადგილობრივები დასაქმდებიან.

შეგახსენებთ, მარელისი ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის ერთ-ერთი მთავარი შესასვლელია და ტურისტებს მძიმე ვითარებაში უნევთ მდინარე ბჟოლიხევის საცალფეხო ხიდ-ბოგირების გავლა.

აღსანიშნავია, რომ „ელკანასა“ და „სიდას“ ინიციატივით რამდენიმე ხნის წინ მარელისში გარე განათება მოეწყო, დაიდგა ნაგვის ურნები და ასევე დამონტაჟდა უსადენო ინტერნეტი.

თამარ მაღრაძე

მიხარია და ვამაყობ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მშვიდ ვითარებაში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ხანდაზმულ პედაგოგს მიხარია, რომ ჩემი ყოფილი მოსწავლეები დეპუტატები გახდნენ და იმედი მაქვს, ისინი პირნათლად შეასრულებენ ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას.

მისასალმებელია ისიც, რომ ჩვენი მიწა-წყლის შვილი, ნიკოლოზ თოფურიძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე აირჩა. ბატონ ნიკოლოზს ნამდვილად უყვარს ხარაგაული და ხარაგაულელები. მას არ სჩვევია წინასწარი დაპირებები და მჯერა, რომ ჩვენს რაიონს საქმიანი და გულისხმიერი მერი ჰყავს.

ასევე არანაკლებ მახარებს ის ფაქტი, რომ ჩემი სოფლის, სარგვეშის, დეპუტატი რუსუდან გიორგაძე გახდა. სარგვეში ქალბატონი რუსუდანის დედულეთია. მისი დედა ძვირფას ოჯახში გაზრდილი ეთერ ნიკოლაიშვილი იყო. პირადად რუსუდანს კარგად ვიცნობ, იგი არის განათლებული პიროვნება, გულისხმიერი, პრინციპული და სამართლიანი. ის მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა ნამუშევარი და განსაკუთრებულად უყვარს ეს რაიონი. დეპუტატის რანგში არ მოღვაწეობდა სარგვეშში, მაგრამ მრავალ პრობლემას უგვარებდა იქ მცხოვრებლებს. სწორედ მისი ძალისხმევით სოფელში ეკლესია აღდგა და ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა.

ვულოცავ ამ ღირსეულ პიროვნებებს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არჩევას და ვუსურვებ წარმატებულ და ნაყოფიერ საქმიანობა.

პატივისცემით,

რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი გოგი ჯღამაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი **დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12**